

სარგბიელი

საორტული გაზეთი

ოთხშაბათი 8 ოქტომბერი 2003 №190 (1961)


ფასი 50 თეთრი



გაბრიელ კაბილაძის ფოტო

უოთა არგელაქი გლაზგოში გააბრუნეს ქალიან მარტივია: საქართველო რთულია

ხვალ საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით მოსკოვში შეიკრიბება და რუსთა მთავარქალაქის გარეუბანში განაგრძობს საშაბათო მატჩისთვის მზადებას. სრული შემადგენლობით, ვთქვით, მაგრამ „შინდისფერთა ლეგიონს“ გუშინ ერთი ლეგიონერი გამოაკლდა — გლაზგოს „რეინჯერის“ ფორვარდ შოთა არგელაძეს, მოსკოვის ვზად დამდგარს კიოლნში რომ შეუვლია, იქაურმა დასტაქარმა ნატკენი მუხლი გაუსინჯა და ნაკრებს ვერ გამოადგებო, გლაზგოს გააბრუნა.



გიორგი იარცევი

დიდ სამზადისშია რუსთა ნაკრები. გიორგი იარცევა იქაური უურნალისტები პრესკონფერენციაზე იწვია და 11 ოქტომბრის რუსეთ — საქართველო „ორთავა არნივის“ ყველაზე რთულ მატჩად მონათლა, აქაოდა უმოტივაციო ქართველები ყველანაირად ეცდებიან იმის დამტკი-

ცებას, რომ თბილისში შემთხვევით არ მოუვიათო.

უორდანიას გუნდის განსხვავებით, რუსებს არც სატურნირო მოტივაცია აკლიათ და ორმაგად გაიხარებენ, ევრო 2004-ის სავზურს სწორედ ქართველთა ძლევით თუ დაისაკუთრებენ, მოდი და ამაზე არ გავახსენდეს — არ გაიხაროს...

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები


RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია. 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

ვუდვორდმა სორელს თაიგული გაუმზადა ბორჯღალოსნები ინტარნაბში და მუხბაზა იხადებინა

ინგლისელი „ვარდების“ მთავარმა მწვრთნელმა კლაივ ვუდვორდმა გუშინის შემადგენლობა დაასახელა, ჩვენებს სამსოფლიოსთასო დებიუტში რომ დააჯახებს. ვუდვორდს არც უფიქრია ვარსკვლავების დასვენება, ვინც კი საუკეთესო ჰყავს, 12 ოქტომბერს ყველას ბორჯღალოსნებს გამოუყვანს. მისი შევირდები კი ლამის ყველა ინტერვიუში ამბობენ, რომ ქა-

რთველებს გადაუვლიან. ინგლისი რომ ჩვენებს მოუგებს, ამაზე სათქმელიც არაფერია, მაგრამ ქართველი მორაგბეები უბრძოლველად დათმობას არ აპირებენ. გუშინ ავსტრალიაში შევეხმიანეთ ბორჯღალოსანთა ერთ-ერთ „მეომარ“ მორკინალ ვიქტორ დიდებულს, რომელმაც ამ ისტორიულ მატჩამდე ოთხი დღით ადრე მცირე კომენტარი გააკეთა.



ინგლისელთა კაპიტანი მარტინ ჯონსონი

— ინგლისი რომ მოგვიგებს, ეს რაგბის სულ მცირედით მცოდნე ადამიანსაც არ აეჭვებს. აქ სხვა რამეზეა ლაპარაკი. ჩვენ ინგლისელებს არაფერს დაუთმობთ, მათ ჰგონიათ, რომ ძალიან იოლად მოგვიგებენ, მაგრამ ცდებიან. გარწმუნებთ, მოედანზე ნაღდი ბრძოლა იქნება.

— მით უმეტეს, ინგლისელები ამბობენ, იტალიასთან ქართველებს მუშტის ქნევა რომ გაუვიდათ, ამას ჩვენთან

ვერ გაბედავენო...

— იტალიელებმა მაგრად დაიხიეს უკან. პროვოკაციაზე ნამოვიდნენ, მაგრამ ჩხუბში აღარ აგვეყენენ. მაგათი ვერაფერი გავიგე, თუ მუშტის მოქნევაა, მუშტის მოქნევა იყოს, თუ რაგბი, რაგბი იყოს. ისინი კი დამალობანას გვეთამაშებოდნენ.

ინგლისელების კომენტარები კი ჩვენც ნავიკითხეთ ინტერნეტში. მაგათიც გასაგებია, მაგრამ თუ ჩხუბი ატყდა, მაშინ სარაგბო კლასი კი არა, მუშტის სიდიდე ნყვეტს ყვე-



ვიქტორ დიდებულს ინგლისელებს არ ვუგება

ლაფერს. ქართველებს ღირსების დაცვა არ გვეშლება და მუშტის გვიჭრის, მაგრამ ძალიან ცუდი იქნება, თუ ჩხუბამდე მივა საქმე. მთავარია, ლამაზად ვითამაშოთ და მსოფლიოს რაიმე დასამახსოვრებელი ვაჩვენოთ.

თუ ლალი თამაში გამოვიდა, ამას რა ჯობს, და თუ ჩხუბი ატყდა... მე პირადად ქუჩური ჩხუბი არ მესწავლება. თუ ჩხუბია, ჩხუბი იყოს. რაგბია და ერთ-ორ შემოლანუნებას ვერ გაეჭვები.

ბაჩო სვანიძე

გაბრიელ კაბილაძის ფოტო

პირველი ეტაპის პირველი წრის ოფიციალურ ჩამთავრებას ერთი მატჩი დააკლდა — „თბილისი“ „ლოკომოტივის“ 4 ნოემბერს დაუპირისპირდება, თუმც ამის გარეშეც შესაძლებელია ჩემპიონატის მეოთხედის შეჯამება


პირველი წრის მოსაგალი ზოგის მარანში მაჰარი დუს, ზოგის ღვინოც ჯი ძმარია

წინა ორი სეზონის მსგავსად, სატურნირო ინტრიგა არც ამ ჩემპიონატს აკლია. ტურიდან ტურამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო სხვათაგან მოწყვეტა, მეტიც, ლამის ყოველი ტურის შემდეგ იცვლებოდა ლიდერი და პირველი წრის ბოლოს პირველობა ივო შუშაკის „დინამოს“ დარჩა. „დინამოს“ სეზონის წინ ბევრმა ჩემპიონობა უწინასწარმეტყველა. ისიც ითქვა, შუშაკელები ადვილად მოიგებენ გათამაშებასო. ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ხდება. „დინამოს“ საპირველწრეო პირველობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გუნდი ჩემპიონატსაც პირველ საფეხურზე ჩამთავრებს. „დინამოს“ მეტოქე პირველ წრეში კონკურენტების გარდა თავად „დინამოც“ იყო. ფეხბურთელებს და კლუბის ხელმძღვანელებს შორის უთანხმოებამ ბოლოს სკანდალიც მოიტანა, ლა-

მის ერთი ხელის მოსმით დაითხოვეს ამბიციური ფეხბურთელები გუნდიდან, თუმც ორივე მხარემ დათმო და სკანდალიც ჩაცხრა, ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით პრობლემა მორჩა. არ არის გამორიცხული, სახელფასპრემიო ეპიდემიამ კვლავაც იფეთქოს კლუბში, ეს კი შუშაკელთა საჩემპიონო შანსებს უღალვოდ შეამცირებს. პირველი ეტაპის პირველ წრეში „დინამომ“ სხვებზე მეტი გაიტანა. 26 გოლში ლომის წილი დაიღო ლადო ახალაიამ, 8 გოლით ერთპიროვნულად რომ ლიდერობს ბომბარდირთა დავას.

საოცარია „დილას“ მეორეობა, ისევე როგორც გორელთა საშინაო მატჩების ბალანსი. „თენგიზ ბურჯანაძეზე“ ყოჩაღმა ქართლელებმა ხუთი მატჩი გამართეს და ხუთივე გამარჯვებით დაასრულეს ბურთების საერთო შთამბეჭდავი ბალან-

საქართველოს უმაღლესი პირველი წრის ჩემპიონატი. ლიგა ეტაპი. მიმოხილვა.



პოლუსები: მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის აღმოჩენა „მცხეთა“ და...

სით — 10:2. თანაც „დილამ“ შინაურ კედლებში ჩემპიონატის სამი ფაგორიტი — „ვიტ ჯორჯია“, „სიონი“ და „ტორპედო“ მშრალად მონილა — მათ გოლი ვერ გაიტანეს გორულ სარბიელზე.

ზურაბ ზორგუაშვილის მეტროდოლ და ჟინიან გუნდს „დინამოსთან“ ერთად, ყველაზე მეტი — 7 მოგება აქვს პირველ წრეში და ეს ფაქტი იმის მანიშნებელიცაა, რომ „დილა“ სამეორწრეოდაც ბრძოლის იმტახზე იქნება.

რაც უნდა მოხდეს სეზონის ბოლომდე, დებიუტანტი „მცხეთა“ ჩემპიონატის აღმოჩენად დარჩება. გუნდი ერთბაშად აფეთქდა ვლადიმერ გუცაევის გამწვრთნელებისას და მიჯრით სამი მატჩი მოიგო, თანაც ვისთან — „დინამო“, „ტორპედო“ და „კოლხეთი“ მიყოლებით ჩაყლაპეს დებიუტანტებმა. შევნიშნოთ, რომ „დინამო“ და „ტორპედო“ აქამდე მიყოლებით არავის დაუმარცხებია და აქამდე არც ერთ დებიუტანტს არ ჰქონია ასეთი „ოქროს შუალედი“.

„მცხეთა“ მეხუთეზე სატურნირო ცხრილში და ჟინი და შემართება თუ ვაჰყვა ზამთრის ბოლომდე, გაზაფხულიდან ეგებ მოწინავე ექვსეულშიც ვიხილოთ.

პირველ წრეში თითოჯერ დამარცხდნენ „ვიტ ჯორჯია“ და „სიონი“. ამათი საექვსეულო შანსი ეჭვს არ იწვევს, მეტიც, ორივეს გაცილებ-



...იმედგაცრუება „ტორპედო“

ბით მეტის მიღწევა შეუძლია, განსაკუთრებით ზურაბ ბერიძის შეკრულ, დაბალანსებულ „ვიტ ჯორჯიას“ ძალუძს შორს წასვლა. ქუთაისის საფეხბურთო მზე ჩაესვენა. „ტორპედომ“ პირველ წრეში შოკში ჩააგდო ქომაგი. პრობლემებმოძალბებულ გუნდს თამაშის სურვილი არ ეტყობა, თითქოს ფეხბურთელები მოვალეობის მოხდის მიზნით გადიან მოედანზე და შედეგიც შესაბამისია. „ტორპედოს“ მეშვიდეობა წარმოუდგენელია. პირველ წრეში რიონისპირელებმა იმდენი მოახერხეს, რომ ანტირეკორდი გამოაცხვეს — „ტორპედოს“ აქამდე არასდროს წაუგია ზედიზედ სამჯერ. რეკორდი ეგებ გაუზოგბესდეს კიდევ, რაკილა მეორე წრის პირველივე ტურში ბათუმში ჩადიან ქუთათურები, მერე კი ჩემპიონ „დინამოს“ მასპინძლობენ.

მძლავრად დაიწყო ჩემპიონატი ვია ტყებუჩავას „კოლხეთმა“, ჯუნგლის ბიჭებმა შინაურ კედლებში „დინამოც“ კი წამოაქციეს, თუმც წინასასეზონო არასრულფასოვნამა მომზადებამ მეოთხე ტურიდან იჩინათავი და წაგებებს უზშირეს კოლხებმა. პირიქით აწყო საქმე დებიუტანტ „სპარტაკს“. გუნდი უპირობო აუტსაიდერი იყო და სულაც მეექვსე ტურში შეძლო პირველი გოლის გატანა, თუმც საქმიანმა დამოკიდებულებამ ახალგაზრდა სპა-

რტაკელები აათამაშა და ავერ, ბოლოს სტუმრად იმარჯვეს თბილისელებმა „მერცხალთან“. მოუხედავად ამისა, საპირველდღო პირი ჯერჯერობით ამ ორს უჩანს, თუმც გაზაფხულამდე ჯერაც დიდი დროა.

გაბატა კვანტალიანი

პირველი ეტაპის პირველი წრის ოფიციალურ ჩამთავრებას ერთი მატჩი დააკლდა — „თბილისი“ „ლოკომოტივის“ 4 ნოემბერს დაუპირისპირდება, თუმც ამის გარეშეც შესაძლებელია ჩემპიონატის მეოთხედის შეჯამება




ლადო ახალაიას გოლებში ბადალი არ ჰყავს

სივრცულური ნაპრები. Table with 3 columns: Team, Goals, Assists. Lists teams like Dinamo, Vit Georgia, etc.

Table with 3 columns: Team, Goals, Assists. Lists teams like Dinamo, Vit Georgia, etc.

გამარჯვების 7 დღე

რაფაელის მოხატული ვალენსია



რაფაელ ბენიტესი

რაფა ბენიტესის „ვალენსიამ“ 7 დღის შუალედში ესპანური პრიმერას ორი მთავარი გრანდის, კასტილიური „რეალისა“ და კატალონიური „ბარსელონას“ დამარცხება შეძლო. „მესტალიას“ მკვიდრი გუნდი ახლა ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერია, თავად სენიორ ბენიტესი კი საკუთარი შევირდებით ამაყოფს და წლევანდელ პრიმერადივიზიონში დიდ გამარჯვებებს გეგმავს. „ვალენსიას“ დამრიგებელს „ლიბრედირექტოს“ ჟურნალისტი ესაუბრა

— „ბარსასთან“ გამარჯვებას როგორ შეაფასებდით?
— ცხადია, კმაყოფილი ვარ. „კამპ ნოუზე“ მომგებიანი ტაქტიკა ავირჩიეთ, ვცდილობდით, „ბარსელონას“ შემტევი პოტენციალი შეგვებოჭა, რაც საბოლოოდ შევეძელით კიდევ. მოხარული ვარ, რომ ეს დაძაბული მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა.
— „ვალენსიამ“ ზედიზედ მესამე თამაშში მოიგო და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. ეს ნებისმიერი გუნდისთვის შთაბეჭდავი შედეგია...
— გეთანხმებით, საუწუნი არაფერი გვაქვს. გუნდის განწყობაც სტატისტიკის შესაფერისია — ოპტიმისტური და საბრძოლო.
— რას იტყვით „ბარსელონას“ შესახებ?
— ვფიქრობ, ამ გუნდს გარკვეული პრობლემები აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მტკიცე დაცვის მქონე მოწინააღმდეგეს გადა-

აწყდება, სწორედ ისეთს, როგორიც „ვალენსიაა“. მარტოოდენ მონდომებითა და ნიჭით თამაშს ვერ მოიგებ, აქ ტაქტიკურ ჩანაფიქრთა სწორად განხორციელებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ჩემი აზრით, „ბარსას“ ამ უსიამოვნებათა გადაჭრაც ადვილად შეუძლია. კატალონიურ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და თუკი რომელიმე მეტოქე მასთან ყურადღებას მოაღუნებს, მწარედ დაისჯება. 5 ოქტომბრის მატჩში ერთი წუთითაც არ დაგვიწყებია, ვის ვეთამაშებოდით.
— ამ შეხვედრაში ყველა აიმარ-რონალდინოს ვერკინებას ელოდებოდით. მათი დუელი რატომ არ შედგა?
— აიმარი ტრავმამ შეაწუხა, თქვა, საუკეთესო ფორმაში არ ვარო. ჩვენც მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, აიმარი „ბარსელონას“ წინააღმდეგ არ გამოსულიყო. დიდი იყო რისკი, ჩვენთვის საჭირო

ფეხბურთელს სერიოზული დაზიანება მიეღო.
— 7 დღის შუალედში მადრიდის „რეალიც“ დაამარცხეთ და „ბარსელონაც“...
— ეს ორი განსაკუთრებული გუნდია. გარდა ამისა, სათამაშო სიტუაციაც არ იყო ერთნაირი. მადრიდელს „მესტალიაზე“ შევერკინეთ, ხოლო „ბარსასთან“ გასვლითი შეხვედრა გვეკონდა. თუმცა ერთი რამ კი უკვე ცხადია — ესპანურ პრიმერაში ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგიძლია.
— „ვალენსია“ ალბათ უკვე პრიმერას ჩემპიონობაზე ფიქრობს...
— ჯერ ჩემპიონობაზე ლაპარაკი ადრეა. პრიმერადივიზიონი საკმაოდ გრძელი ტურნირია და საბოლოო შედეგის წინასწარ განჭვრეტაც მეტად რთულია. „ვალენსიას“ წინ ბევრი ძნელი შეხვედრა ელის, მაგრამ კარგი დასაწყისის გამო მეც იმედინად ვარ განწყობილი და ჩემი ფეხბურთელები.



ოლივეირას (მარცხნივ) გოლმა „ბარსელონაც“ უქულოდ დატოვა

რონალდინოს განჯინება ოლივეირას რჩევა პრიმერას მაკარაებს

„ვალენსიას“ ბრაზილიელი თავდამსხმელი ოლივეირა მეტოქეთა ნამდვილ რისხვად იქცა. ოკეანისგაღმელმა „რეალსაც“ გაუტანა გოლი და „კამპ ნოუზეც“ დაამუხრა „ბარსელონას“ კატალონიური ინჩასობა. „ვალენსიას“ ბრაზილიელ მეგოლეს ესპანური „ლიბრედირექტო“ ესაუბრა

— ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ „ვალენსია“ წლევანდელ პრიმერაში ალბათ ლიდერობის დათმობას აღარ აპირებს...
— ჩვენ ახლა სერიოზულად ვმუშაობთ, პრიმერას ჩემპიონობა სერიოზულად დავისახეთ მიზნად, უშუალო კონკურენტებს სწორედ ამიტომ ვეთამაშებით ასე ძლიერად. მწვრთნელის მითითებებსაც უსტად ვასრულებთ, ახლა „ვალენსიაში“ სრული ურთიერთგაგება სუფევს.
— თქვენ „რეალსაც“ გაუტანეთ და „ბარსელონასაც“. ესპანეთის ჩემპიონატში ეს შესანიშნავი დასაწყისია.
— გეთანხმებით, ურიგო დასაწყისი არაა და მიხდა, მომავალშიც ასე გავაგრძელო. ამისთვის თავდაუზოგავად ვიმუშავებ და, რაც მთავარია, ყოველი მატჩისას შევეცდები, „ვალენსია“ რაც შეიძლება, მეტი გოლით ვახვირო. ეს ჩემთვისაც კარგი იქნება, ჩემი კლუბისთვისაც და გულშემოტკიერებისთვისაც.
— „ბარსელონასთან“ გატანილი გოლის შესახებ მოგვიყვით. დაინახეთ, რომ მეკარე ვალდესი წინ იყო გამოსული?
— დიახ, სანამ დავარტყამდი, დავინახე, რომ ვიქტორი მეტისმეტად წინ იდგა. გამიმართლა და მშვენიერი გოლი გამოვიდა.

— წინა კვირაში ამბობდით, სამომავლო გოლთა რაოდენობის წინასწარ დასახელება არ მიყვარსო. ახლა რას ფიქრობთ?
— წინასწარ ჯერ მაინც ვერაფერს ვიტყვი. ისე, გოლების გატანის დაუძლეველი სურვილი მაქვს და მეტოქეთა მეკარეებს ვურჩევ, „ვალენსიასთან“ პაექრობისას განსაკუთრებით ფრთხილად იყვნენ.
— რონალდინოზე რას იტყვით?
— მატჩის შემდეგ ველაპარაკე და მან მითხრა, რომ „ბარსას“ იმდევანდელი შედეგით ძლიერ უკმაყოფილოა. რონის განსაკუთრებით „ბარსელონას“ „კამპ ნოუზე“ მორიგი ვერძოგება ეწყინა. თუმცა მე დარწმუნებული ვარ კატალონიელთა სიძლიერეში, ეს გუნდი ნებისმიერ დროს საშიში მოწინააღმდეგეა.
— სამეფო თასზე „კასტელონს“ ხვდებით. იცით, რომ ამ ტურნირზე „ვალენსიას“ ბოლო წლებში დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია?
— მართალს ამბობთ. სწორედ ამიტომაც გემართებს წლევანდელი სამეფო თასისადმი დიდი ყურადღების მიქცევა. პირადად ჩემთვის „ვალენსიას“ ყოველი მატჩი უმნიშვნელოვანესია და ნებისმიერ თამაშში ამ გუნდის გამარჯვებისთვის თავდაუზოგავად ვიბრძობლებ.

მანსანოს დღეებს უთვლიან, ატლეთიკოს მწვრთნელებს



გრეგორიო მანსანო

გრეგორიო მანსანოს კარიერაში ფრიად უიღბლო დღეები უდგას. შაბათს, 4 ოქტომბერს, გალისიურ „რიასორზე“ მანსანოს „ატლეთიკო“ იქაურ „დეპორტივოს“ ესტუმრა და 25 ათასი ლაკორუნიელი ქობაგის თვალსასიეროდ 1:5 განადგურდა. პოდა, ამ ვერსასახელო მატჩის დამთავრებისთანავე მადრიდული კლუბის ფრიად დაღვრემილმა უფროსობამ სენიორ გრეგორიოს სამწვრთნელო გამჭრიახობაში ეჭვი შეიტანა და ახალ დამრიგებელთა სახელდახელო ძიებაც წამოიწყო.

ბის გამო (ძირითადად ხესუს ხილი ხილის მანსანოსადმი ნდობა-სიყვარულის) კამაროს „ატლეთიკოში“ გამწვრთნელება არ გამოვიდა. გარდა ამისა, მადრიდელთა მწვრთნელი ეგებ ასე-ს ექსთაგაკაცი ლუის ფერნანდესი გახდეს (კამაროს მსგავსად, ხილის ადრეულ სატრანსფერო პერიოდებში ფრანგის სახელიც ზშირად მოიხსენიებოდა). მოლაპარაკება მიმდინარეობს პატივცემულ აპენინელ ბატონებთან — ალბერტო ძაკერონისთან და ჯიჯი სიმონესთან, აგრეთვე ბასკ მანესთანაც. ეს უკანასკნელი, ესპანური „მარკას“ ცნობით, ასევე მწვრთნელის მაძიებელ „მალიორკას“ უარს ეუბნება და „ატლეთიკოს“ გადაამწყვეტი სიტყვის მომლოდინეა. მოკლე, ოდენ ერთი რამ არის ცხადი — გრეგორიო მანსანო მადრიდულ „ვისენტე კალდერონზე“ დილხანს ვერ გაძლებს.

ლადო ხომერიძე

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

Table with columns 1-X, 2, 1-X, 1-2, X-2. Header: 9 თქტომბერი. Rows include match details like 'ფლეშინენსე-ვიტორია' and 'ვასკუ და გამა-ჟუვენტული'. Sub-headers include 'ესპანეთი თასის 1/32 ფინალი 8 თქტომბერი' and 'დანია. თასი. IV ეტაპი 9 თქტომბერი'.

Table with columns 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Header: ირლანდია. თასი. 1/2 ფინალი 8 თქტომბერი. Rows include match details like 'სტ.პატრიკსი-ბოჰემიანი' and 'ეგრო 2004. შესარჩევი მატჩები 11 თქტომბერი'.

Table titled 'რომელ ტაიმიზი გავა მითი ბოლი'. Columns: I-ში, თანაბრად II-ში. Rows: 21.00 5501 ბოსნია-დანია, 22.00 5502 თურქეთი-ინგლისი.

Table titled 'ბაიბანს თუ არა ფრენა გუნდი მატჩში ბოლს (ძირითადი დრო)'. Columns: კი, არა. Rows: 21.00 5301 ბოსნია-დანია, 22.00 5302 თურქეთი-ინგლისი.

Table titled 'რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დროშისთვის შიშვსაშვი, თორემ უსრენი რამენაშვი ჩაითვლება)'. Columns: I-ში, თანაბრად II-ში. Rows: 21.00 5401 ბოსნია-დანია, 22.00 5402 თურქეთი-ინგლისი.

Table titled 'რამდენი ბოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (25-ზე ნაკლები - 2.5-ზე მითი)'. Columns: I-ში, თანაბრად II-ში. Rows: 21.00 5201 ბოსნია-დანია, 22.00 5202 თურქეთი-ინგლისი.

Table titled '1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო'. Columns: 1/1, 1/X, 1/2, X/1, X/X, X/2, 2/1, 2/X, 2/2. Rows: 21.00 5101 ბოსნია-დანია, 22.00 5102 თურქეთი-ინგლისი.

Table titled 'I ტაიმიშის შედეგები'. Columns: 1, X, 2, 1-X, 1-2, X-2. Rows: 21.00 5001 ბოსნია-დანია, 22.00 5002 თურქეთი-ინგლისი.

Advertisement for 'შესაქმლრო ცვლილბავები ალგორითმა დააფუსტებით'. Large stylized text.



საქართველოს პარლამენტის კონკურსი „წიგნების 2003-2004“

I ეტაპის IX ტურის წინასწარი შედეგები

Table with 2 columns: Rank (აღბ.) and Name (გვარი, სახელი, მამის სახელი). Lists participants and their scores for the 9th round of the first stage.

I ეტაპის X ტურის წინასწარი შედეგები

Table with 2 columns: Rank (აღბ.) and Name (გვარი, სახელი, მამის სახელი). Lists participants and their scores for the 10th round of the first stage.

მომდევნო კვირის კალენდარი

- 6 ოქტომბერი - გაზეთი „ახალი ვერსია“, I ეტაპის მე-11 ტური და მე-2 ეტაპის I ტური...
7 ოქტომბერი - ჟურნალი „ულტრა“, I ეტაპის მე-12 ტური და მე-2 ეტაპის 2 ტური...
7 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი“, I ეტაპის მე-11 და მე-12 ტური...
8 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-3 ტური...
9 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-4 ტური...
10 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-3 ტური...
11 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი“, მე-2 ეტაპის მე-4 ტური...

საქონლურ-ბიუჯეტური მიიღება

- 1. ტოტალიზატორ „ტაიში“, კოსტავას ქ. №37 და მის ფილიალში, მეტრო „ახმეტელის თეატრი“, მინისქვეშა გადასასვლელი მუხიანის მხარეს.
2. მეტრო „ვაგ ზღის მოედანი“ პირველი გამოსასვლელი „პლანეტის“ ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე“ „ფორტე 4“
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის“ ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი“ „ფორტე 2“
6. მეტრო „სამგორი“ „ფორტე 9“
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი“ მაღაზია „თბილისი“
8. მეტრო „ახმეტელი“ „ფორტე 7“
9. მეტრო „ღრმალეთი“ „პლანეტის“ ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან“ „პლანეტის“ ჯიხური №17
11. გადასასვლელი ხიდთან „პლანეტის“ ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის“ ჯიხური №15
13. „მაცნეს“ ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს“ ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. I თაბი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუგდიდის №13 (ავთო გადახაბაძე, 12-დან 15 საათმდე, 7-45-82) ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

II ეტაპი, III ტური. სახელი, მამის სახელი, გვარი. შტამის ადგილი. რეზა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 14.10.03.

Table with 8 columns: Rank (დრო), Name (თარიღი), Score (გუნდები), and Name (პროფონი). Lists participants and their scores for the 3rd round of the 2nd stage.

Table with 8 columns: Rank (დრო), Name (თარიღი), Score (გუნდები), and Name (პროფონი). Lists participants and their scores for the 3rd round of the 2nd stage.

Table with 8 columns: Rank (დრო), Name (თარიღი), Score (გუნდები), and Name (პროფონი). Lists participants and their scores for the 3rd round of the 2nd stage.

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 15 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიში“-ში, მის ფილიალში და გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში (მხოლოდ 15 ოქტომბერს)

ჩირადება სათესო შეხვედრებში მხიდავლობაში მიიღება მხოლოდ ძირითადი დროის ანბანში

საქონლურ-ბიუჯეტური შედეგების თავედან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი

მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ

Table with 3 columns: Rank (აღბ.), Name (გვარი, სახელი, მამის სახელი), and Score (ქულა). Shows the cumulative scores of participants after 10 rounds.

შედეგების გაზიარება შეიძლება 16 ოქტომბრამდე 11-დან 15 საათამდე ჯიხურ-ორგაბათის გარდა გაზეთ „ახალი ვერსიის“ რედაქციაში, აგლანის 39ა, მე-3 სასაათო



ირაკი

ეს ირაკი, რომელსაც ჩინეთის უმაღლესი, 420,5-მეტრიანი შენობიდან გადმოშტარი კაცი ასრულებს, ჩინთა სახალხო რესპუბლიკის 54-ე წლისთავს ეძღვნება. ამგვარი ნახტომი ჩინეთში პირველად შესრულდა. უმაღლესი შენობა კი იქ შანხაიში დვას — მას მინ ტაოს კოშკი ეწოდება.



კობიჭობა

„ღოს ანჯღელეს ლეიკურსი“ წინასწარმოდ პავაის კუნძულებზე იმუხტება. იქვე, ვაიმანალოს კუნძულზე აშშ-ის საპაერო ძალითა ბაზაა, სადაც ახლახან ერაყიდან დაბრუნებული ამერიკელი მფრინავები ოჯახებთან ერთად ისვენებენ. იმ დღეს კალათბურთელები მფრინავებს სწვევიან და მათ ბავშვებთან გაულაღიათ. ფოტოზე იმ მომენტს ხედავთ, როცა შებარბაცებული კობი ბრაიანტი ნავიანევი მანევრით ცდილობს საყუთარი თავი მორიგი შარისგან გადაარჩინოს, ბიჭუკელასი კი — გაჭყლეტვისგან.




ტრაკედელა

ეს საბურთედ წაგუზული ქალები ამერიკის საფეხბურთო ნაკრების ის წევრები ვახლავან, ურთიერთშეხლისას რომ იძლივინენ... ეს ამბავი იმ ვარჯიშზე მოხდა, რომლის მერეც ამერიკელ ქალებს ბურთის ვავთრება უკვე ვერმანელთა წინააღმდეგ, სპ წასვკებ ნახევარფინალში მოუწიათ. ვერმანელებთან წაგებული მატჩის შემდეგ მასპინძლებისთვის ტრაკედელა, ცხადია, არ მოუწყვიათ.

ჭელა და ლიკანა

სპილოსძვლისსანაპიროული ლიკანე ტუალი კონცოელთა მკარე ჭელა კაბამბას ბურთის შივ ლაჯებსშუა უტარებს. ჭელა და ლიკანე ხელობურთელები არიან და თავიანთი ნაკრებების დირსებას სიკურის სატახტო აბუჯამი იტკვენ. ხდაც სრულიად აურის თამაშში მიმდინარეობს. ის მატჩი სპილოებმა 3x12 მოიგეს.



ბოზგზადება

მსოფლიოს სარავბო თახისთვის სრულიად ავსტრალია ემზადება. უცხოელ ხვად ტურისტთა მოლოდინში არიან იჩაური ბოზ-როსკიებშიც, რომელნიც თავიანთი ათას საჯანდრავში ვამოვლილი ქორფა სხეულებს ვაჭრობით კაი ზორბა მოგებას გეგმავენ. ვამორჩევით აქტიურობს სიდნეური საროსკიბო „სტილეტო“, რომელსაც მძუგან უცხოელთა ყურადღების მისამყრობად მძღავრი სარეკლამო კამპანია წამოუწყია. ეს ქეროსან-ბარძაყოსანი კახა და ქუნაზე მიმაგალი სატვირთო ამ კამპანიაში მონაწილეობენ. მანქანაზე წაგუზული უკანახედია აღბეჭდილი და ინგლისურად სწერია: „გაყვართ რაქში?“ ცხადია, „სტილეტოელი“ მესეკსპიარენი ამ, ფერდომზე მოხურუშე კახპასნაირ მდედრებთან რაქს გულისხმობენ.

სარბიელი
საკორტული გაჯატი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამჯაბათს,
ოთხჯაბათს, ხუთჯაბათს,
კარასკაპს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჳოცხპირია
დირექტორი ბიორბი ოპრომჭაქალიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტროპიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშაძე
ჭართული ფეხბურთის რედაქტორი დავით თავართქალაძე, კობა ინას-
რიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნა-
შვილი, სილომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაქიძე,
ლადო ხომერკია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაპლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვიო ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,
ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაიო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში: ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღონვაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუნუნიშვილი, ელენე
გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა
დევაძე, ფატი დვალისიშვილი, მაგდა დორგაშვილი, დავით კვაჭანტირაძე,
თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჳუმბურიძე

გედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ვახუშტის გამზირი 42, II
კორაპუსი, IV სართული.
საჳოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საჳოსტო
ყუთი 208. ტელეჳონი: 39 48 29
ელექტრონული ᳳოსტა
sarbielli@gol.ge
ელექტრონული ჳირსია
http://www.sarbielli.com.ge

REUTERS პორტლენდნიდან

REUTERS შანხაიდან

REUTERS ბონნიდან

REUTERS ვაიმანალოდან